გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 162

2023 წლის 8 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.45.24.379 ქონებიდან 1 კვ.მ ფართის, ფ/პ ნინო ჩებიჩაშვილისთვის (პ/ნ 59001065006) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 14 ივნისს (№ 19/2023165207-20) შემოსულია ფ/პ ნინო ჩებიჩაშვილის (პ/ნ 59001065006) განცხადება, რომელშიც დეკორატიული ტელეფონის ჯიხურის განთავსების მიზნით, იჯარის ფორმით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ს/კ 66.45.24.379 (ნაკვეთის წინა ნომერი: 66.45.24.025) უძრავი ქონებიდან 1 კვ.მ ფართი (მისამართი: ქალაქი გორი, ჭავჭავაძის ქუჩა).

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 22 აგვისტოს N 276-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან ს/კ 66.45.24.379 (მისამართი: ქალაქი გორი, ჭავჭავაძის ქუჩა, ს/კ 66.45.24.126 - ის მიმდებარედ), დაზუსტებული ფართობი-1186.00 კვ.მ-დან 1 კვ.მ უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 1,300.00 (ათას სამასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ს/კ 66.45.24.379 (ნაკვეთის წინა ნომერი: 66.45.24.025) უძრავი ქონებიდან 1 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი

საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ს/კ 66.45.24.379 (ნაკვეთის წინა ნომერი: 66.45.24.025) უძრავი ქონებიდან 1 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ ნინო ჩებიჩაშვილს (პ/ნ 59001065006).

2. ს/კ 66.45.24.379 უძრავი ქონებიდან 1 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 1300 (ათას სამასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 300 (სამასი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ს/კ 66.45.24.379 (ნაკვეთის წინა ნომერი: 66.45.24.025) უძრავი ქონებიდან 1 კვ.მ გადაეცემა დეკორატიული ტელეფონის ჯიხურის განთავსების მიზნით.

6. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

7. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

8. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე